

სს „კრისტალი 1887“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2020

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1. ძირითადი ინფორმაცია	11
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	11
3. მომზადების საფუძველი	12
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20
6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	20
7. გადასახადები	20
8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	21
9. საინვესტიციო ქონება	21
10. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	24
11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები	24
12. გრძელვადიანი სესხები	25
13. სააქციო კაპიტალი	25
14. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	26
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
16. სხვა საოპერაციო ხარჯები	27
17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	27
18. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება	
ვალდებულებების მოძრაობასთან	28
19. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	28
20. რისკების მართვა	29
21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	31
22. გაუთვალისწინებელი გარემოებები	32
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	33

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2020 წლის 30 იანვარს:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე ღონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდეშელი

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56 120	18 408	5
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	90 276	73 894	6
საგადასახადო აქტივები	938	-	7
სხვა მიმდინარე აქტივები	5 255	3 724	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	152 589	96 026	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	312 989	330 398	8
საინვესტიციო ქონება	9 053 786	9 097 783	9
გრძელვადიანი აქტივები სულ:	9 366 775	9 428 181	
აქტივები სულ:	9 519 365	9 524 208	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	23 182	22 204	10
საგადასახადო ვალდებულებები	-	6 630	7
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2 536	5 381	11
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	25 717	34 216	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	101 710	101 710	12
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	101 710	101 710	
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	734 341	734 341	13
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	8 657 597	8 653 941	
კაპიტალი სულ:	9 391 938	9 388 282	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	9 519 365	9 524 208	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდუმელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	637 731	613 446	14
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	637 731	613 446	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(564 479)	(568 295)	15
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(3 253)	(18 112)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(63 519)	(63 059)	16
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	6 480	(36 020)	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(2 823)	(34 823)	17
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	3 656	(70 843)	
წლის წმინდა მოგება	3 656	(70 843)	
წლის სრული შემოსავალი	3 656	(70 843)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდეშელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1 102 864	963 169	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	6 001	7 275	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(713 718)	(588 148)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(178 790)	(245 787)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები			
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(176 232)	(159 629)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შემოსულობანი /გაცემები	(300)	2 960	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	39 825	(20 159)	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(2 113)	(8 741)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 113)	(8 741)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	-	26 750	18
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-	26 750	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	37 712	(2 151)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	18 408	20 559	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	56 120	18 408	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდუშელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2016-თვის	734 341	8 724 784	9 459 125
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(70 843)	(70 843)
ნაშთი 31.12.2017-თვის	734 341	8 653 941	9 388 282
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	3 656	3 656
ნაშთი 31.12.2018-თვის	734 341	8 657 597	9 391 938

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდუმელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

სს „კრისტალი 1887“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1996 წლის 30 აგვისტოს ისნის რაიონის სასამართლოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 206025610. იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი, მეველეს ქუჩა #20.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 118 აქციონერი ფიზიკური პირი და რომლის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს 577259 ცალს.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას. პარტნიორთა კრების მიერ იქმნება დირექცია, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორები.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის გენერალური დირექტორი - კონსტანტინე დონაძე.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება მომსახურებაზე,

რეალიზებული მომსახურების ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

გ) გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ კაპიტალს ეხება აისახება პირდაპირ კაპიტალის მუხლებში.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საგადასახადო მოგების და მოქმედი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

დ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 4%;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 20%;
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	- 20%;
ძალოვანი მოწყობილობები	- 10%
ოფისის აღჭურვილობა	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა და ელექტრონული მოწყობილობები	- 25%
ავეჯი და ინვენტარი	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 20%

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისათვის და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

თუ გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში შესული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი რეკლასიფიკაცია სამართლიანი ღირებულებიდან მოგების ან ზარალის მეშვეობით, შემდეგ შემთხვევებში:

- ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას გასაყიდად არსებულ ან დაფარვის ვადამდე შენარჩუნებულ კატეგორიებზე.

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღებ ანგარიშებზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ნებისმიერი მოგების ან ზარალის შებრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებად ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

- კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს, ნაღდი ფული კომპანიის სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ზ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

თ) სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი მოიცავს კომპანიის მიერ გამოცემულ ჩვეულებრივ აქციებს.

ი) დამატებითი შენატანები კაპიტალში

საზოგადოების კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, აქციების ემისიის გზით. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალი გაიზრდება ახლადგამოშვებული აქციების პროპორციულად.

კ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ლ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

მ) ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელოა, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16. „იჯარა“.

2015 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება. ფასს 16-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16 მოითხოვს, რომ მოიჯარებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად აღრიცხება ფინანსური იჯარა ბასს 17-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს. კომპანია არ მოელოა ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს ფასს 16-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)
ფული სალაროში	54 184	16 816
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1 936	1 592
	<u>56 120</u>	<u>18 408</u>

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ერთ კომერციულ ბანკში - სს „საქართველოს ბანკი“.

6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)
დებიტორული დავალიანება საიჯარო მომსახურებიდან	111 641	92 006
დებიტორული დავალიანების გაუფასურება	(21 365)	(18 112)
	<u>90 276</u>	<u>73 894</u>

7. გადასახადები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	(4 992)	(2 285)
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5 930	(4 345)
	<u>938</u>	<u>(6 630)</u>

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

შენიშნა- ნაგებობები	ვლ. ძრავები და დიზელ- გენერატორები	ბალოვანი მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ელექტრონული მოწყობილობები ი (კომპიუტერული ტექნიკის გარდა)	ავეჯი	ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	343 737	4 800	17 495	828	2 186	2 700	9 485	3 298	8 014	220
დამატება	-	-	-	33	-	-	-	2 080	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	343 737	4 800	17 495	861	2 186	2 700	9 485	5 378	8 014	220
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41 142	1 440	2 623	443	1 431	858	9 485	2 694	2 215	33
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	13 749	960	1 749	125	287	675	-	340	404	1 232
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54 892	2 400	4 373	568	1 719	1 533	9 485	3 034	2 619	1 265
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	288 845	2 400	13 122	293	467	1 168	-	2 344	5 395	(1 045)
შენიშნა- ნაგებობები	ვლ. ძრავები და დიზელ- გენერატორები	ბალოვანი მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ელექტრონული მოწყობილობები ი (კომპიუტერული ტექნიკის გარდა)	ავეჯი	ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	343 737	4 800	17 495	788	1 855	2 457	9 485	3 218	5 994	220
დამატება	-	-	-	40	331	243	-	80	2 020	-
სულ ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	343 737	4 800	17 495	828	2 186	2 700	9 485	3 298	8 014	220
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27 393	480	874	327	1 155	218	9 485	2 388	982	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	13 749	960	1 749	116	276	640	-	306	1 233	33
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41 142	1 440	2 623	443	1 431	858	9 485	2 694	2 215	33
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	302 594	3 360	14 872	385	754	1 843	-	604	5 799	187

9. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. საინვესტიციო

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 225 220	9 225 220
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 225 220	9 225 220
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	127 437	127 437
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	43 997	43 997
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	171 434	171 434
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 053 786	9 053 786

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 219 192	9 219 192
დამატება	6 028	6 028
სულ ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 225 220	9 225 220
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83 440	83 440
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	43 997	43 997
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	127 437	127 437
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 097 783	9 097 783

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2015 წლის 01 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ მოახდინა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ საინვესტიციო ქონების შეფასება. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები, ფასს 13-ის პრინციპების შესაბამისად. საინვესტიციო ქონების შესაფასებლად გამოყენებულია დანახარჯების მეთოდი. კომპანიამ შეფასებული რეალური ღირებულება გამოიყენა, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება და დარჩა თვითღირებულების მოდელზე. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს და შენობა-ნაგებობებისთვის გამოყენებული აქვს წლიური 4%.

დანახარჯების მიხედვით მიდგომით ღირებულების დადგენა დაფუძნებულია იმ ვარაუდზე, რომ ხარჯები მშენებლობაზე, მიწის ნაკვეთის შეძენაზე და მის მომზადებაზე წარმოადგენენ საფუძველს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განზაზღვრისათვის.

უძრავი ქონების შეფასება დანახარჯების მეთოდით მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ნაბიჯი 1. შესაფასებელი მიწის ნაკვეთის / როგორც ვაკანტურის / შეძენის ღირებულების შეფასება;

ნაბიჯი 2. გაუმჯობესებების ჩანაცვლების ან აღდგენითი დანახარჯების / ხარჯების / ღირებულების გაანგარიშება;

ნაბიჯი 3. გაუმჯობესებების ამორტიზაციის / ფიზიკური, ფუნქციონალური, გარე (ეკონომიკური) / გაანგარიშება;

ნაბიჯი 4. გაუმჯობესებების ჩანაცვლების ან აღდგენითი ნარჩენი ღირებულების გაანგარიშება /ნაბიჯი 2.-ნაბიჯი 3./;

ნაბიჯი 5. უძრავი ქონების ღირებულების გაანგარიშება /ნაბიჯი 1.+ნაბიჯი 4./.

საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიის საინვესტიციო ქონებები მდებარეობს ქ. თბილისში. შემოსავლიანი აქტივები მოიცავს სასაწყობო ფართებს, დახლებს, მათ შორის იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც საჭიროა იჯარის გენერირების მიზნით. თავისუფალი აქტივი მოიცავს იმ შენობა/ნაგებობებს და მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის არ არის იჯარით გაცემული, არამედ არის კომპანიის მფლობელობაში კაპიტალური ღირებულებების გაზრდის მიზნით, ან სამომავლოდ იჯარით გასაცემად.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

10. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)
რეზიდენტი კომპანიები	23 182	22 204
	<u>23 182</u>	<u>22 204</u>

11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)
მიღებული ავანსები	1 085	3 092
გასაცემი ხელფასები	1 450	2 250
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1	40
	<u>2 536</u>	<u>5 381</u>

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

12. გრძელვადიანი სესხები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2017 წ. (ლარი)
აქციონერებისგან მიღებული სესხები	101 710	101 710
	101 710	101 710

13. სააქციო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 577259 დოლარს (ექვივალენტი ლარში 734341 ლარი). ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სააქციო კაპიტალის დეტალები:

აქციონერები	აქციების რაოდენობა	წილი სააქციო კაპიტალში	სააქციო კაპიტალის თანხა აშშ დოლარში	სააქციო კაპიტალის თანხა ლარში
გოგინაშვილი თამაზ	378 410	65.55290%	378 410	481 382
ჩხეიძე ირაკლი	87 943	15.23458%	87 943	111 874
ჩხეიძე ალექსანდრე	87 943	15.23458%	87 943	111 874
დევდარიანი ანდრო	15 350	2.65912%	15 350	19 527
ვარდიძე ნუზარი	1 350	0.23386%	1 350	1 717
ბოჭორიშვილი გურამი	819	0.14188%	819	1 042
ბასილაძე ნათელა	750	0.12992%	750	954
დანარჩენი 111 აქციონერი	4 694	0.81315%	4 694	5 970
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	577 259	100%	577 259	734 341

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

14. შემოსავალი მომსახურებიდან და რელიზაციიდან

	2018 წელი (ლარი)	2017 წელი (ლარი)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	631 286	607 280
სხვა შემოსავალი	6 445	6 165
	637 731	613 446

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წელი (ლარი)	2017 წელი (ლარი)
თანამშრომელთა ანაზღაურება	305 226	302 877
კომუნალური ხარჯები	214 674	196 819
კომუნიკაციის ხარჯები	894	990
დაცვის ხარჯები	12 203	12 203
საკანცელარიო ხარჯი	234	312
საგადასახადო ხარჯები	24 238	25 171
რემონტის ხარჯები	2 976	2 692
საბანკო ხარჯები	362	287
დაზღვევის ხარჯები	2 180	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1 493	26 942
	564 479	568 295

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018 წელი (ლარი)	2017 წელი (ლარი)
ძირითადი საშუალებების ცვეთისა და	19 522	19 062
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	43 997	43 997
საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯები	<u>63 519</u>	<u>63 059</u>

17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2018 წელი (ლარი)	2017 წელი (ლარი)
დემონტაჟის ხარჯები	-	32 000
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2 823	2 823
	<u>2 823</u>	<u>34 823</u>

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

18. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაცი ით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულე ბის ალება ფულადი სახსრების	ვალდებულების ალება რეკლასიფიკაცი თ ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-
სასესხო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	-	-	-	-	-	-	-	-
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	101 710	-	-	-	-	-	-	101 710
გადახდილი დივიდენდი	-	-	-	-	-	-	-	-
სულ	101 710	-	-	-	-	-	-	101 710

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2016	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაცი ით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულე ბის ალება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების ალება რეკლასიფიკაცი თ ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2017
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-
სასესხო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	-	-	-	-	-	-	-	-
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	74 960	-	-	-	26 750	-	-	101 710
გადახდილი დივიდენდი	-	-	-	-	-	-	-	-
სულ	74 960	-	-	-	26 750	-	-	101 710

19. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

20. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდი
მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები	-	101 710
ხელფასები და სხვა სარგებელი	104 928	-

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	ტრანზაქციის ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები	-	101 710
ხელფასები და სხვა სარგებელი	104 928	-

22. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და შეფასებებისას და ამის გამო, შესაძლოა ის ოპერაციები და საქმიანობები, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, სადავო გახდეს მომავალში. ამ სახით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. არაპრაქტიკულია გაუცხადებელი მოთხოვნების ოდენობის განსაზღვრა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მომავალში, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. ფისკალური პერიოდები ღია რჩება შესაბამისი ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის სამი კალენდარული წლის განმავლობაში, შემოწმების წლამდე. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

სს „კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე საგადასახადო დავები.

სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების, თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2020 წლის 30 იანვარს:

გენერალური დირექტორი -----

კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი -----

მარიამ ხიდუშელი



სს„კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56 120	18 408	5
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	90 276	73 894	6
საგადასახადო აქტივები	938	-	7
სხვა მიმდინარე აქტივები	5 255	3 724	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	152 589	96 026	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	312 989	330 398	8
საინვესტიციო ქონება	9 053 786	9 097 783	9
გრძელვადიანი აქტივები სულ:	9 366 775	9 428 181	
აქტივები სულ:	9 519 365	9 524 208	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	23 182	22 204	10
საგადასახადო ვალდებულებები	-	6 630	7
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2 536	5 381	11
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	25 717	34 216	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	101 710	101 710	12
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	101 710	101 710	
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	734 341	734 341	13
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	8 657 597	8 653 941	
კაპიტალი სულ:	9 391 938	9 388 282	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	9 519 365	9 524 208	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი -----

კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი -----

მარიამ ხიდუმელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს„კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	2018 წელი	2017 წელი	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	637 731	613 446	14
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	637 731	613 446	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(564 479)	(568 295)	15
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(3 253)	(18 112)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(63 519)	(63 059)	16
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	6 480	(36 020)	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(2 823)	(34 823)	17
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	3 656	(70 843)	
წლის წმინდა მოგება	3 656	(70 843)	
წლის სრული შემოსავალი	3 656	(70 843)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარსდა ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდეშელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს„კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	2018 წელი	2017 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1 102 864	963 169	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	6 001	7 275	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(713 718)	(588 148)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(178 790)	(245 787)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები			
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(176 232)	(159 629)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შემოსულობანი /გაცემები	(300)	2 960	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	39 825	(20 159)	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(2 113)	(8 741)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 113)	(8 741)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	-	26 750	18
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-	26 750	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	37 712	(2 151)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	18 408	20 559	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	56 120	18 408	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარსდა ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდელელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს„კრისტალი 1887“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2016-თვის	734 341	8 724 784	9 459 125
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(70 843)	(70 843)
ნაშთი 31.12.2017-თვის	734 341	8 653 941	9 388 282
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	3 656	3 656
ნაშთი 31.12.2018-თვის	734 341	8 657 597	9 391 938

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 იანვარს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- კონსტანტინე დონაძე

მთ. ბუღალტერი ----- მარიამ ხიდუშელი

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

